საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №130/ნ
2015 წლის 5 ოქტომბერი

ქ. თბილისი

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის წესის, საგრანტო კონკურსების დებულებებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის №131 დადგენილებისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 28.03.2018წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესი და პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **თამარ სანიკიძე**

დანართი

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების მეშვეობით გაუმჯობესდება სამაგისტრო კველევების ხარისხი და მაგისტრანტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.
2. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) არეგულირებს მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დასაფინანსებლად კონკურსის გამართვის, პროექტების შეფასების, გრანტის გაცემისა და შესრულების ანგარიშგების, მონიტორინგის საკითხებს.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად გრანტების გაცემის მიზანია მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდის, აკადემიური დონის ამაღლებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესების, სწავლის პროცესში კვლევის ინტეგრაციისა და თემატური და/ან ინტერდისციპლინური მიმართულებით კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 3. გრანტის გაცემის უზრუნველყოფა

1. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტებით დაფინანსება განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
2. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება პროექტები შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში:

ა) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები;

ბ) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროსტატის (EUROSTAT) კლასიფიკაციით:

ბ.ა) ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

ბ.ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები;

ბ.გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;

ბ.დ) აგრარული მეცნიერებები;

ბ.ე) სოციალური მეცნიერებები;

ბ.ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებები.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ფონდი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

ბ) კონკურსი – ამ დებულებით გათვალისწინებული გრანტის მოსაპოვებლად ფონდის მიერ ადმინისტრირებული პროცედურა;

გ) მაგისტრანტი – სტუდენტი, რომელიც სწავლობს მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

დ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი – მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ე) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ემერიტუსი, საპატიო პროფესორი, მოწვეული პროფესორი, რომელიც აკადემიურ ხელმძღვანელობას უწევს მაგისტრანტის მიერ დაგეგმილ/განხორციელებულ კვლევას;

ვ) პროექტი – მაგისტრანტის მიერ კვლევის დაფინანსების მოპოვების მიზნით, ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;

ზ) საკონკურსო კომისია (შემდგომში – კომისია) – საკონკურსო კომისია (შემდგომში – კომისია) – ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შექმნილი პროექტების შემფასებელი ჯგუფი, რომელიც ამ წესით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით განიხილავს კონკურსზე წარდგენილ განაცხადებს, ადგენს შეფასების რანჟირებულ სიებს და ამ სიების საფუძველზე გამოავლენს გამარჯვებულ პროექტებს;

თ) გრანტი – ფონდის მიერ კონკურსის საფუძველზე შერჩეული პროექტების განსახორციელებლად მაგისტრანტისთვის გაცემული თანხა;

ი) გრანტის მიმღები – საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული და დასაფინანსებლად დამტკიცებული პროექტის ავტორი მაგისტრანტი;

კ) პროექტის ბიუჯეტი – პროექტით გათვალისწინებული კვლევისა და სასწავლო-კვლევითი აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების აღწერა;

ლ) ტრანში – პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული კონკრეტული საანგარიშო პერიოდისათვის

გადასარიცხი/გადარიცხული თანხა;

მ) მიზნობრივი ანგარიში – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული საბანკო ანგარიში, რომელზედაც მოხდება გრანტის მიმღებისათვის გრანტის თანხის ჩარიცხვა; მიზნობრივ ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას არ შეიძლება დაერიცხოს სარგებელი;

ნ) საანგარიშო პერიოდი – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც გრანტის მიმღები ახორციელებს პროექტით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებასა და ასევე გრანტის თანხის ხარჯვას, რის შესახებაც წარუდგენს ფონდს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს;

ო) საგრანტო ხელშეკრულება – მაგისტრანსტს, შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

პ) პროექტის შეფასების კრიტერიუმები – პროექტის შესაფასებლად ამ დებულებით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები ქულების სათანადო მითითებით;

ჟ) პროექტის მონიტორინგი – საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმება და საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენა ამავე საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან;

რ) საბოლოო ანგარიში – საბოლოო ანგარიში მოიცავს პროექტის დასრულების შემდგომ გრანტის მიმღების მხრიდან ფონდში წარმოდგენილ საბოლოო პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 28.03.2018წ.

მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსს აცხადებს და ადმინისტრირებას უწევს ფონდი ამ დებულებითა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით.
2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენას; კონკურსის პროგრამისა და პირობების, პროექტის ფორმების, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშების ფორმების შემუშავებასა და დამტკიცებას;

ბ) კონკურსის გამოცხადებას;

გ) კონკურსში რეგისტრირებული პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას კონკურსის პირობებთან;

დ) კომისიის შექმნას, რომელიც ამ დებულებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად შეაფასებს წარმოდგენილ პროექტებს;

ე) კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილი პროექტების დამტკიცებას;

ვ) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას და დაფინანსებას;

ზ) საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს.

3. ფონდში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესითა და ვადების დაცვით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.

მუხლი 6. კონკურსში მონაწილეობა და კონკურსის პირობები

1. კონკურსის ფარგლებში გრანტი შეიძლება მოიპოვოს საქართველოს მოქალაქე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულმა, სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტმა. გრანტის მიღების პერიოდში მაგისტრანტი უნდა იყოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი ან დამამთავრებლის წინა სემესტრის სტუდენტი.

2. კონკურსის მონაწილე მაგისტრანტს უნდა ჰყავდეს სამაგისრტო ნაშრომის ხელმძღვანელი, რომელიც აკადემიურ კონსულტაციას გაუწევს მაგისტრანტს პროექტის მიმდინარეობისას. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პროექტის საკითხის შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

3. პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს მინიმუმ 4 და მაქსიმუმ – 10 თვე.

4. კონკურსის შედეგად შეიძლება დაფინანსდეს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ მიმართულებებში წარდგენილი პროექტები.

5. პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანადაფინანსებას. თანადაფინანსებაში არ ჩაითვლება სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი ან სტიპენდია.

6. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გრანტის მიმღებს ავანსის სახით გადაერიცხება მთლიანი ბიუჯეტის 80%, ხოლო დარჩენილი 20% გადაირიცხება გრანტის მიმღების მიერ ფონდში წარდგენილი საბოლოო ანგარიშის განხილვისა და ფონდის მიერ შედგენილი აქტის შესაბამისად.

7. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებს.

8. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის ბაზა, რაზედაც საჭიროა წინასწარი წერილობითი თანხმობა.

9. შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია პროექტში ჩართული იყოს დამხმარე პერსონალი.

10. სასურველია პროექტში ანაზღაურების გარეშე ჩართული იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე ან/და უცხოელი კონსულტანტი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება პროექტში აღწერილ კვლევის სფეროს.

11. პროექტის განხორციელების შედეგად მაგისტრანტი ვალდებულია დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი და ფონდში წარმოადგინოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 7. პროექტის ბიუჯეტი

1. პროექტის ბიუჯეტი შეიძლება შეადგენდეს არაუმეტეს 6000 ლარს.

2. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) სტიპენდია (ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 1200 ლარს);

ბ) სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების ან/და საველე სამუშაოების ხარჯი;

გ) პროექტის მიზნებისათვის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი (კონფერენცია, კონგრესი, ვორქშოპი, სემინარი და სხვა);

დ) თემის მიზნებისათვის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯები;

ე) სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები.

3. გრანტით დაუშვებელია ლეპტოპის, პლანშეტური კომპიუტერის, მობილური ტელეფონის, საოფისე

პრინტერის და/ან სკანერის, კარტრიჯის, უწყვეტი კვების წყაროს და უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი, სატრანსპორტო საშუალების შეძენა;

4. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება მაგისტანტისათვის უნდა განხორციელდეს უსასყიდლოდ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 28.03.2018წ.

მუხლი 8. საგრანტო კონკურსის ეტაპები
საგრანტო კონკურსის ეტაპებია:
ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების ფონდში წარდგენა;

გ) პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა;

დ) პროექტების შეფასება კომისიის მიერ;

ე) კომისიის შეფასების საფუძველზე შედგენილი რანჟირებული სიების მიხედვით, საგრანტო კონკურსის ბიუჯეტის გათვალისწინებით, გამარჯვებული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცება;

ვ) ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროექტის წარმდგენ მაგისტრანტთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 28.03.2018წ.

მუხლი 9. პროექტების შეფასება
1. ფონდი უზრუნველყოფს კომისიის მიერ პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას.
2. კომისია პროექტებს აფასებს ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

3. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას და განსაზღვრავს კომისიის მუშაობის წესს.

4. კომისია შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ახდენს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, საკუთარ ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად და ფონდის მხრიდან რაიმე სახის ჩარევის გარეშე.

5. კონკურსის შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს კომისიის დასკვნების გაცნობას დაინტერესებული პირისათვის.

მუხლი 10. პროექტის შეფასების კრიტერიუმები
1. კომისიის მიერ პროექტი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმები და განმარტებები	C-	C	C+	B-	B	B+	A-	A	A+	**შეფასება (A/B/C)კრიტერიუმის მიხედვით**
1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი	1	2	3	4	5	6	7	8	9	**მინიმუმ 1** **მაქსიმუმ 9 ქულა**
1.1. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება 1.2. კვლევის მიზნები და ამოცანები										

1.3. კვლევის მეთოდოლოგია 1.4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა და გავრცელების (დისემინაციის) გეგმა 1.5. ინტერდისციპლინურობა										
2. აკადემიური კომპონენტი	1	2	3	4	5	6	7	8	9	**მინიმუმ 1** **მაქსიმუმ 9 ქულა**
2.1. მაგისტრანტის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, სამეცნიერო პროდუქტიულობა და სტატიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 2.2. მაგისტრანტის აკადემიური პროგრესი (ტრანსკრიპტში ასახული ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო საგნებისა და კომპონენტების გავლის შესახებ) 2.3. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კომპეტენციის შესაბამისობა კვლევით თემასთან 2.4. პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მაგისტრანტის უცხოეთში ვიზიტის შესაბამისობა საკვლევ თემასთან										
3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	**მინიმუმ 1** **მაქსიმუმ 9 ქულა**
3.1. პროექტის გეგმა-გრაფიკის (ეტაპების, ვადებისა და განხორციელების გზების) განხორციელებადობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 3.2. პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 3.3. წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის მატერიალური, ტექნიკური და ინტელექტუალური გარემოს/რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან										
ქულების ჯამი:										**მინიმუმ - 3** **მაქსიმუმ - 27 ქულა**

შემაჯამებელი შეფასება პროექტის შესახებ (ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის შემაჯამებელი შეფასება სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინჭებული ქულების შესაბამისად);

□ A

□ B

□ C

შემაჯამებელი კომენტარი პროექტის შესახებ (ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის შემაჯამებელი კომენტარი სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად):

2. შეფასების სამი კრიტერიუმდან (1 – სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, 2 – აკადემიური კომპონენტი, 3 – პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა) თითოეული კრიტერიუმი ფასდება 9-ქულიანი სისტემით (1-9), სადაც 1-3 ქულა შეესაბამება C კატეგორიის შეფასებას, 4-6 ქულა შეესაბამება B კატეგორიის შეფასებას, ხოლო 7-9 ქულა შეესაბამება A კატეგორიის შეფასებას. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 27 ქულა.

კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

შეფასება ქულით	შეფასება ABC კატეგორიით	შეფასება	განმარტება
1	C-	სრულიად შეუსაბამო	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
2	C	ნაწილობრივ შეუსაბამო	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, გართულებულია პროექტის შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
3	C+	სუსტი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები
4	B-	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები
5	B	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არადამაკმაყოფილებელია
6	B+	საკმაოდ კარგი	პროექტი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია
7	A-	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება.
8	A	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
9	A+	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს.

3. შემაჯამებელი შეფასება პროექტის შესახებ ეფუძნება და შესაბამისობაში უნდა იყოს 1-2 კრიტერიუმის 9 ქულიანი (1-9) სისტემით შეფასებასთან და განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	ABC კატეგორია
21-27	A
10-20	B
3-9	C

4. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 18 ან მეტი ქულა. თუ პროექტის შეფასება პირველ და მეორე კრიტერიუმში არის „C“, პროექტი არ განიხილება დასაფინანსებლად, მიუხედავად ჯამური ქულების ოდენობისა.

5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდგომ მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 28.03.2018წ.

მუხლი 11. ინტერესთა კონფლიქტი
1. არ შეიძლება საკონკურსო კომისიის წევრი იყოს პირი:
ა) რომელიც არის საგრანტო კონკურსის მონაწილე;

ბ) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია მაგისტრანტთან ან მონაწილეობს მასთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;

გ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში;

დ) რომელიც არის მაგისტრანტის კვლევის/შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ე) რომელიც არის მაგისტრანტის ნათესავი.

2. ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია, ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

4. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

მუხლი 12. პროექტების დამტკიცება
1. კომისიის შეფასების საფუძველზე შემდგარი რანჟირებული სიიდან გამარჯვებულ პროექტებს კომისია წარუდგენს ფონდს დასამტკიცებლად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პროექტები მტკიცდება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 13. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება
გამარჯვებული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცების შემდგომ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას.

მუხლი 14. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი
1. ფონდი პროექტის დასრულების შემდგომ ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
2. ფინანსური მონიტორინგის დროს ფონდი:

ა) ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული ხარჯების საგრანტო ხელშეკრულებასთან შესაბამისობის შემოწმებას ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

ბ) ეყრდნობა მაგისტრანტის მიერ წარდგენილი გრანტის ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს დედანის, ფოტოასლების ან ელექტრონული (დასკანერებული) სახით;

3. ფონდის მიერ მინიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება – საანგარიშო პერიოდის ბოლოს აუთვისებელი რესურსი.

4. გრანტის მიმღების მიერ წარდგენილ ანგარიშზე ფონდი ადგენს განხილვის აქტს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

5. პროგრამული მინიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

მუხლი 15. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტი ჩაითვლება ავტომატურად შეჩერებულად:

ა) შესაბამისი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების შემდგომ, სხვა შესაბამის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლამდე;

ბ) კვლევის თემის/საკითხის შეცვლის მოთხოვნით ფონდისთვის მომართვიდან საგრანტო ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანამდე.

2. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს გრანტის მიმღების გრანტით დაფინანსებას (შესაბამისად შეწყდება პროექტი), თუ:

ა) გაუქმდა შესაბამისი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია და მაგისტრანტი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში არ გადავიდა მაგისტრატურის სხვა შესაბამის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბ) არ შესრულდა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარმოადგინა ყალბი ინფორმაცია;

გ) მაგისტრანტს შეუწყდა ან შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი გრანტის განხორციელების პერიოდის დროს.

3. კვლევის თემის/საკითხის შეცვლა შესაძლოა გახდეს პროექტის შეწყვეტის საფუძველი.

4. პროექტის შეწყვეტის შემთხვევაში მაგისტრანტმა მის მიერ შესყიდული ხელსაწყოები და აპარატურა, ასევე გაუხარჯავი ლაბორატორიული და სხვა მასალები უნდა გადასცეს შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. მაგისტრანტი ვალდებულია სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე დააბრუნოს არსებული ნაშთი.

5. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ ფონდში საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გადარიცხულ გრანტის ხარჯვაზე და პროექტის ფარგლებში დასახული ამოცანების შესრულებაზე არსებობს შესაბამისი აქტი და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 27 მარტის ბრძანება №33/ნ - ვებგვერდი, 28.03.2018წ.